



საქართველო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45



GEORGIA, SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY, №45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ. ზუგდიდი

07.12.2018 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №124

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის მოწესრიგების საკითხის შესწავლის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფისთვის ვადის გაგრძელების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 29-ე მუხლის და „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტი) დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების დანართის 34-ე მუხლის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის მოწესრიგების საკითხის შესწავლის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილ დროებით სამუშაო ჯგუფს გაგუგრძელდეს ვადა ერთი თვით.
2. ჯგუფმა აღნიშნულ ვადაში განსახილველ საკითხზე უზრუნველყოს შესაბამისი დასკვნის მომზადება.
3. მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს ჯგუფის წევრებს.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ზუგდიდი, რ.ლაღიძის ქ. №12).

საკრებულოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი:



ბესიკ ჭეჭია